ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2017 წლის 27 იანვარი

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების წყარო და თარიღი: www.matsne.gov.ge, 30.12.2016წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.124.016219) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გრიგოლ მაჩიტაძე**